ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2881579

ნომერი: AR1447164

თარიღი : 07.10.2016

გაცემის თარიღი : 10.10.2016

გაცნობის თარიღი : 11.10.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ერეკლე II , N 11 (ნაკ. N45/12) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან ბუაჩიძე პ/ნ 01025010994
- თბილისი დიდი დიღომი III მ/რ კორ. 17 ბ. 21

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: "კაია გრუპ"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 01.18.03.045.012
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ირმა ბერიანიძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01010013578

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: სოფიკო მაისურაძე

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ერეკლე II ქ. N11-ში (ნაკვ. N45/12) არსებული შენობის რეაბილიტაციის პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის საკითხს.

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1. არ არის წარმოდგენილი ტოპოგეგმა;
2. არ არის საპროექტო გენგეგმა საკადასტრო საზღვრების სწორად დატანით, ღერძებით, ღერძებს შორის მანძილებით;
3. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტში:
- განმარტებით ბარათში არ არის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები - არსებული და საპროექტო;
- გეგმებზე არასწორადაა დატანილი საკადასტრო საზღვრები, არ არის მითითებული ღერძები, ღერძებს შორის მანძილები;
- არსებული (პირველი სართული) და საპროექტო (სარდაფი) მდგომარეობით შენობა სცდება საკადასტრო საზღვრებს;
4. დამკვეთის ინფორმაციაში არასწორადაა მითითებული შ.პ.ს. "კაია გრუპ"-ის საიდენტიფიკაციო კოდი;
5. წარმოდგენილი უნდა იქნეს იპოთეკარის თანხმობაში მითითებული დანართი 1;
6. არ არის წარმოდგენილი საპროექტო ფოტომონტაჟი;
7. ვინაიდან იზრდება ფართი, წარმოდგენილი უნდა იქნეს თანამესაკუთრის თანხმობა (დამოწმებული შესაბამისი წესით);
8. არ არის წარმოდგენილი განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (დამოწმებული შესაბამისი წესით).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება მითითებული ხარვეზების გამოსწორების შემდგომ. ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.